ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 14240163**

თარიღი:**16/01/2024**

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის შესრულების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტების და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის №29 დადგენილების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფა“ პროგრამის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის შესრულების წესი, თანახმად დანართი 1-სა;

ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტის გადაადგილების ტაბელი (ფორმა), თანახმად დანართი 2-სა;

ბ) მომსახურების გამწევთან გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტი.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფა“ პროგრამის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების გამწევთან გასაფორმებელ ხელშეკრულებაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ლელა სურმანიძეს.

3. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურმა უზრუნველყოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სოციალური უზრუნველყოფა“ პროგრამის, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების

ასისტენტით მომსახურება“ ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების გამწევთან გაფორმებული ხელშეკრულების შენახვა, ხელშეკრულების მიმწოდებელი ორგანიზაციისათვის და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისადმი მიწოდება.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი